საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
Legal Entity Public Law
**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY**
**წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL**

ოქმი № 1 „21“ 01 2022 წ.

# დადგენილება № 1

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების დავით ხოზელიას და მარეხ ნათენაძის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-8 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-10 მუხლის მე-7 პუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის, მე-4 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად:

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. შეუწყდეთ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილება იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორს დავით ხოზელიას (ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების გამო) და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორს მარეხ ნათენაძეს (გარდაცვალების გამო).
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ჩაბარდეს იურიდიულ ფაკულტეტს და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქ. N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი ლავრენტი ჩიბურდანიძე

ქ რუსთაველის ქ. №113. 0800 ახალციხე, საქართველო ტელეფონი: 5(99) 063 366, 5(77) 050 640 Tel.